ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 67/ბ

მცხეთა 17 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ქეჩერა“**, შემდგომში „მომწოდებელი" წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ ჩიქოვანის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

ხელშეკრულების საგანი

1. 500 ცალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შესყიდვა. (CPV22458000) – შეკვეთით ნაბეჭდი მასალის შესყიდვა.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 01 მაისის ჩათვლით.

2.2 **ხელშეკრულების ღირებულებაა - 500(ხუთასი)** ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

4.3 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურება ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება_ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი დავით ოსეფაშვილი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2019 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „ქეჩერა"
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7	მის: ქ.თბილისი, დოლიძის ქ.25; ბ.131
სახელმწიფო ხაზინა	სს „თი ბი სი" ბანკი
ხაზინის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	ა/ნ GE69TB7956136020100003
ს/კ 236099789	ს/კ 205268681
ტელ: 2512696	ტელ: 577434522
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე	დირექტორი ნ. ჩიქოვანი

მცხეთა *17.04. 2018 წელი*

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს. შპს „ქეჩერა“ (ს/კ 205268681), ხელშეკრულება N67/ბ).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი *გიორგი კაპანაძე*